

## სტანდარტები ICC

### ICC - International Code Council (ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭო)

ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭო შეიქმნა 1994 წელს, როგორც არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს ეროვნული სტანდარტების ერთიანი კომპლექსური და შეთანხმებული მოდელის შემუშავება, რომელიც ეხება მშენებლობას.

ICC-ის დამფუძნებლები არიან შენობების ინსპექცია და ნორმატივების დაცვის ზედამხედველობის ადმინისტრაცია (BOKA - Building Officials and Code Administrators International), შენობების ინსპექტორების საერთაშორისო კონფერენცია (ICBO International Conference of Building Officials). გასული საუკუნის დასაწყისიდან ეს არაკომერციული ორგანიზაციები ანვითარებდნენ სამ ცალკეულ მიმართულებას სტანდარტიზაციის დარგში აშშ-ს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტიზაციის რეგიონული განვითარება იყო ეფექტური და შეესაბამებოდა ქვეყნის მოთხოვნებს, დადგა დრო ერთიანი მიმართულების შექმნისათვის. ეს სამი ჯგუფი, რომელიც ამუშავებდა ეროვნული სტანდარტების მოდელს, გაერთიანდა ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭოს შექმნისა და ეროვნული შეზღუდვების გარეშე საერთაშორისო დონის სტანდარტების განვითარებისათვის.

ნორმებისა და წესების საერთაშორისო საბჭო წარმოადგენს საწევრო ასოციაციას, რომელიც განკუთვნილია ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ხანძარსაწინააღმდეგო ზომების შემუშავებისათვის; სტანდარტების განვითარებისათვის, რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი და სამრეწველო შენობების ასაგებად, სახლებისა და სკოლების ჩათვლით.